

## უჩაქო კონტრაქტი არ იქნება

ინტერვიუ  
ნიკოლა  
სპრელიანთან



## ოო. ჯონი... მაკინროი დაწყვილებას აპირებს



## მესუთა გიტლის YESTERDAY

უაბათს  
ჯორჯ ბუსტი  
დაბრძალეს



# ტოპვიოლარი ან სტოპვიოლარი

### ბერძნელები და ებრაელები ქართველების წინააღმდეგ?



# ხელმწიფის ნავიდან კიდევ ერთი გადმოაგდეს

## ლუშემაზურგომ თავზე ნაცარი წაიყარა

ის, რაც ადრე თუ გვიან გარდაუვალი იყო, გუშინ მოხდა: „რეალმა“ ვანდერლემი ლუშემაზურგო გაუშვა. ბრაზილიელ მწვრთნელს ვერც შაბათს „ხეტაფესთან“ გამარჯვებამ უშველა, ხალხმა გუნდი სტვენით გააცილა, იქამდე კი, გეხსომებათ, სუპერკლასიკოში „ბერნაბეუ“ „ბარსელონას“ უკრავდა ტაშს. გუშინ დილას ლუშემაზურგომ თავად ითხოვა კლუბის უფროსობასთან შეხვედრა, სადამოს კი ბჭობას პრეზიდენტი ფლორენტინო პერესიცი შეუერთდა და საბოლოო სიტყვაც თქვა. პერესმა ბოლო ორნახევარ წელიწადში მეხუთე მწვრთნელი დაითხოვა. ახლა, სეზონის ბოლომდე, „რეალს“ მეორე გუნდის მწვრთნელი ხუან რამონ ლოპეს კარო მიხედავს. ახალ სეზონში კი პერესი კიდევ ვინმე სახელოვანს მიიყვანს.



საქართველოს  
პრესის  
სინდკატი

AFP მადრიდდან



# ტოპის ჩელსის სთავაზობენ

## მართვლები, ებრაელები თუ 2,8 მილიონი?

ახალი ამბავი გერმანიიდან: საქართველოს ნაკრების მწვრთნელების კანდიდატ კლაუს ტომპოლერს სამუშაოს სთავაზობს ისრაელის ეროვნული გუნდი და რეგიონალური „ჰოფენჰაიმი“.


გერმანული „ბილდის“ ცნობით, კლაუს ტომპოლერი ამ სამი ვარიანტიდან საბოლოო არჩევანს ახალ წლამდე გააკეთებს: „თუკი გუნდს რაიმეს მიღწევა სურს, ეს ჩემთვის უკვე საინტერესოა. მნიშვნელობა არა აქვს, იგი მესამე ლიგაში თამაშობს თუ პირველში“ — უთხრა ტომპოლერმა „ბილდს“.

როგორც შეეცვით, კლაუს ტომპოლერს „ჰოფენჰაიმი“ მართლაც რომ ოქროს კოშკებსა და 2,8 მილიონ ევროს სთავაზობს.

იმავე „ბილდის“ ინფორმაციით, „ჰოფენჰაიმის“ ახალი პატრონის, დიტმარ ჰოპის პირადი აქტივი 2,5 მილიარდი ევროა, ხოლო მისი კლუბი ცოტა ხანში ლონდონის „ჩელსის“ შესაძლებლობებისა იქნება.

ვნახოთ, რას იტყვის ტომპოლერი. ისე, ცნობილია, რომ ეს მწვრთნელი სანაკრებო საქმიანობას უფრო ესწრაფვის, ვიდრე საკლუბოს და, ეგებ „ჰოფენჰაიმს“ უარიც უთხრას. აი, ისრაელის სახით საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას მაგარი კონკურენტი კი ჰყავს...

კობა ინასარიძე



# ნიკოლა სკრელია: უჩვეულოდ კონტრაქტი არ იქნება საკომისიოს გადახდა უნდა



ჩახლართული საქმეა: საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი ამბობს, რომ ეროვნული გუნდის მწვრთნელობის თაობაზე მოლაპარაკება პირდაპირ კლაუს ტომპოლერთან, აგენტების გარეშე მაქვს. ამ დროს კი თავად კლაუს ტომპოლერი აგენტ ნიკოლა სკრელიას ეუბნება, უშენოდ ახალკაცთან მოლაპარაკებას არ გავმართავ და, მით უმეტეს, არც კონტრაქტს გავაფორმებო.

რა ხდება? რა სურთ ნოდარ ახალკაცს, კლაუს ტომპოლერსა და ნიკოლა სკრელიას? ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის თაობაზე, რომ ამ სპეციალისტთან მოლაპარაკება გამკრძებლბინა...

— კი მაგრამ, როგორც ტომპოლერს უთქვამს, მას პირადი აგენტი არ ჰყავს...

— დიახ, ასეა, მაგრამ ფედერაციიდან მოლაპარაკებაზე უკლებამოსილება მივიღე და საქმეც დაიწყო.

— ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა კი პრესკონფერენციაზე თქვა, ტომპოლერთან პირდაპირი კონტრაქტი მაქვს...

— გასაგებია. იცით, ნოდარ ახალკაცი, ეტყობა, სატრანსფერო ნიუანსებში კარგად ვერ ერკვევა, ტომპოლერთან მოლაპარაკება თავად გააგრძელა და მეუღლესთან ერთად თბილისში დააბრუნა. არ ვიცი, ახალკაცმა რა განაცხადა, მაგრამ ვიცი, რომ კლაუს ტომპოლერი, თუ კონტრაქტზე ხელმოწერა, ამას უწემოდ არ გააკეთებს, ანუ სააგენტო „ინტერსპორტ-მარკეტინგი“ საკომისიოს გარეშე არ უნდა დარჩეს. თავად კლაუს ტომპოლერმა ეს პირადი საუბრისას რამდენჯერმე გაიმეორა. ისიც კი მიიხრა, ახალკაცს ტელეფონით ვესაუბრე და ვუთხარი, რომ გერმანიაში სკრელიას, საქართველოში კი ალექსანდრე ტონიას საშუალებით შევიძლიათ დამიკავშირდეთო.

— ანუ რა გამოდის?

— ასეთი გაუგებრობის მიუხედავად, ჩვენი გეგმები არ შეცვლილა. კლაუს ტომპოლერთან და მის მეუღლესთან ერთად 11 დეკემბერს თბილისში ჩამოვალ და ყველანაირად ვეცდები, მწვრთნელსა და ფედერაციას შორის მოლაპარაკება წარმატებით დასრულდეს.

— მაშ, თქვენც ჩამოდიხართ?

— აუცილებლად. მე და ალექსანდრე ტონია ვართ აგენტები და იურიდიულად, ფიფას წეს-კანონების შესაბამისად ვმუშაობთ.

— რომ ჩამოხვალთ, მერე რა იქნება?

— დანარჩენზე თბილისში ვილაპარაკოთ...

კობა ინასარიძე

— საქმე ასე დაიწყო: საქართველოდან დამიკავშირდა ჩემი პარტნიორი ალექსანდრე ტონია და მიიხრა, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ნაკრებისთვის სახელოვან მწვრთნელს ეძებდა — გვითხრა ნიკოლა სკრელიამ — ტონიას შევთავაზე გერმანელ კლაუს ტომპოლერსა და სერბ დრაგოსლავ სტეპანოვიჩის კანდიდატურები. მოგვიანებით გაირკვა, რომ ფედერაცია სწორედ ტომპოლერის კანდიდატურით დაინტერესდა. მერე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისგან მივიღე კიდევ უფლება

დენტისა გასაგებია, მას არ უნდა, ტომპოლერთან კონტრაქტის გაფორმების შემთხვევაში აგენტებს საკომისიო თანხა გადაუხადოს, მით უმეტეს, რომ არც სკრელია, არც ალექსანდრე ტონია, ვინც ამ საქმეში ფიგურირებს, ტომპოლერის პირადი აგენტები არ არიან.

ახლა ნიკოლა სკრელიას ვიკითხოთ. მან ფეხბურთის ფედერაციიდან უფლებამოსილება რომ მიიღო, ტომპოლერთან მოლაპარაკებაც მერე დაიწყო და გერმანელ მწვრთნელთან კონტრაქტის გაფორმების შემთხვევაში კუთვნილ საკომისიოსაც ელის. მოკლედ...

— ასეთი გაუგებრობის მიუხედავად, ჩვენი გეგმები არ შეცვლილა. კლაუს ტომპოლერთან და მის მეუღლესთან ერთად 11 დეკემბერს თბილისში ჩამოვალ და ყველანაირად ვეცდები, მწვრთნელსა და ფედერაციას შორის მოლაპარაკება წარმატებით დასრულდეს.

— მაშ, თქვენც ჩამოდიხართ?

— აუცილებლად. მე და ალექსანდრე ტონია ვართ აგენტები და იურიდიულად, ფიფას წეს-კანონების შესაბამისად ვმუშაობთ.

— რომ ჩამოხვალთ, მერე რა იქნება?

— დანარჩენზე თბილისში ვილაპარაკოთ...


კობა ინასარიძე

# დინამო და ნოზაქა: კიდევ სამი ნელი

თბილისის „დინამოს“ ნახევარმცველმა ლაშა ნოზაძემ კლუბთან კონტრაქტი სამი წლით გააგრძელა. „დინამოს“ ხელმძღვანელობასა და ფეხბურთელს შორის მოლაპარაკებას დიდი დრო არ წაუღია — ახალი ხელშეკრულების გასაფორმებლად ორივე მხარე მზად იყო და ეს ამბავიც ახლა, ჩემპიონატის პირველი წრის დასრულების შემდეგ მოხდა.

26 წლის ლაშა ნოზაძე „დინამომდე“ „ვიტ ჯორჯიაში“ თამაშობდა, სადაც ექვსი სეზონი გაატარა და მშობლიურ კლუბს ჩემპიონის რანგში დაემშვიდობა, მერე კი „დინამოსთან“ ერთად იჩემპიონა. ლაშა ნოზაძე „ვიტ ჯორჯიას“ კაპიტანი და წამყვანი ფეხბურთელი გახლდათ, დღესდღეობით „დინამომიც“ ერთ-ერთი გამორჩეულია და რამდენჯერმე კაპიტნის სამკლაურიც მორიგო.

კობა ინასარიძე



## თანამდებობა

ყოველთვის მეგონა, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის თანამდებობა ყველაზე რთული, უნდო, დაუფასებელი, სკანდალური და ა.შ. თანამდებობაა ჩვენში ქვეყნის პრეზიდენტის თანამდებობის შემდეგ.

ერთი მხრივ, ასე ალბათ იმიტომ მეგონა, რომ ეს იყო, მგონი, ერთადერთი, ფასეული და სახელმწიფოსგან დამოუკიდებელი თანამდებობა ქვეყანაში, სადაც ვისაც რა უნდა, იმას აკეთებს.

მეორე მხრივ, ალბათ იმიტომ მეგონა ასე, რომ ჩვენი ხალხი ჩვენს ფეხბურთს უზარმაზარ მოთხოვნებს უყენებს. ეს მოთხოვნები გამოძინარეობს პაიჭაძიდან, მესხიდან, მეტრეველიდან, ყიფიანიდან და საერთოდ ყველაფრიდან, რასაც ნიშნავს ხალხისთვის ქართული ფეხბურთი.

ანუ მოთხოვნები მოძინარეობს არა რეალური ვითარებიდან, რომელშიც იყო ქართული ფეხბურთი თუნდაც 15 წლის წინ, არამედ, წარსულიდან, რომელიც იყო სასახლო და მართლა ტუბილი და თვალისმომჭრელი.

კაცმა შეიძლება იფიქროს, რომ ეს შეუსაბამობა არის იმ დრამატული ვითარების შემქმნელი, რომელიც არსებობს ჩვენს სანაკრებო ცხოვრებაში.

რა არის ჩვენი საქმიანობა წლიდან წლამდე?

მწვრთნელის ძიება.

თანაც ისე, როგორც ოდესღაც სამხრეთ ამერიკის ჯუნგლებში ესპანელები და ინგლისელები ეძებდნენ ელდორადოს, ოქროს ქვეყანას. ცხადია, არ არსებობდა.

ჩვენც, მგონი, ეგრე ვართ.

იმიტომ, რომ ვინც დაუნიშნავთ, არც ერთს არ გამოსვლია საქმე ისე, რომ ხალხის მოთხოვნა დაემაყოფილებინა. ხალხის მოთხოვნა ძალიან ზოგადია: ჩვენ ისეთი ფეხბურთი გვქონდა, რომ გვეკუთვნის უმაღლესი მწვერვლები ამ სპორტში.

ამიტომ, ეს მოთხოვნა, რბილად რომ ვთქვათ, არის გადამეტებული და სინამდვილეს მოკლებული.

მაგრამ ეს მოთხოვნა არ არის გადამეტებული და სინამდვილეს მოკლებული ერთადერთი მიზეზის გამო: ფეხბურთი დემოკრატიული თამაშია და კონსტრუქციას შეუძლია მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში, ნორვეგიის რომელიმე გუნდს კი „სანტიანგო ბერნაბეუსე“ გამარჯვება.

ამიტომ, ფედერაციის თავკაცის თანამდებობა დრამატულ ხლართთა უშველელი გორგალია და, თუ მისი გარჩევა დაიწყებ, ხერი არ იქნება. ფეხბურთი ხომ დემოკრატიული თამაშია, რაც უნდა უძახო კაცს, არ გესმის თამაში, ვერ დაარწმუნებ. დარწმუნებულია, რომ ესმის. და ის მოითხოვს.

ლაშა ნოზაძე დინამოს გუნდში




# ძოქაშვილის ოლიმპი

რევაზ ძოქაშვილმა ამასწინათ განაცხადა, საქართველოს ნაკრების თავკაცად თუ დაინიშნავენ და წყნარად მუშაობის საშუალებას მომცემენ, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე გაიყვან გუნდსო. ყველამ ვიცით, ძოქაშვილის კანდიდატურას საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია არც განიხილავდა და არც სამომავლოდ ფიქრობს ამას.

ამასობაში კი ძოქაშვილი ლატვიური „ოლიმპის“ მწვრთნელ-კონსულტანტად დაინიშნა, „ოლიმპი“ ლატვიაში არაფრით გამორჩეული გუნდია, გასულ წელს სადებიუტო სეზონი ჰქონდა უმაღლეს ლიგაში და ვერაფერს მიაღწია — ლიგიდან გაეარდა. „ოლიმპის“ მთავარი მწვრთნელი ალექსეი შარანდოა, თუმცა ლატვიელი ურუნალისტების თქმით, ძოქაშვილმა უკვე რამდენიმე ვარჯიში თავად ჩაატარა...

ილია ნანობაშვილი



# ზირაქიშვილი სირიაში? ოთარ გაბელია: მოსვლელი მოგა, წამსვლელი წაგა

„ბათუმის“ თავდამსხმელი ზაზა ზირაქიშვილი სირიაში აპირებს წასვლას, ქალაქ ალექსო კლუბში — ეს ინფორმაცია ბათუმელთა მთავარ მწვრთნელ ოთარ გაბელიასგან შევიტყვეთ.

ზირაქიშვილმა სეზონის პირველი ეტაპი „ბათუმში“ ისე ძლიერად ვერ ითამაშა, როგორც შარშან „ხესტაფონში“, თუმცა ზღვისპირულ გუნდში ყველაზე მეტი გოლი კი გაიტანა.

„ბათუმში“ სხვა მნიშვნელოვანი სიახლე ჯერ არაფერია. გაბელიას თქმით, გუნდიდან წამსვლელების ვინაობა 28 დეკემბრამდე გაირკვევა, მანამდე კი ატ-

არელები გაძლიერებაზე ფიქრობენ.

„სულ ცოტა, სამი-ოთხი კარგი მოთამაშე გვსურს. პირველ ეტაპზე გაცილებით უკეთესი შედეგის ჩვენება შეიძლებოდა, დასანანია, რომ ქულები გავანთავეთ. შესაძლო ახალწვეულებთან მოლაპარაკებებს მალე დაიწყებთ. ისე კი, გვინდა, აქცენტი ადგილობრივ ფეხბურთელებზე გავაკეთოთ“ — გვითხრა ოთარ გაბელიამ.

„ბათუმი“ ნახალწვევებს უცხოურ შეკრებაზეც წავა ბულგარეთში ან ანტალიაში.

ილია ნანობაშვილი

საქართველოს 17 ჩემპიონატი პირველი წრე

# სარხარას ქულები უჩხრიალებს

პირველ ლიგაში პირველი წრე შაბათს, „გაგრასა“ და „ხესტაფონი 2“-ის გადადებული მატჩით დასრულდა და წრის შედეგების შეჯამებაც შეგვიძლია, მით უმეტეს, რომ ფავორიტ-აუტსაიდერები კარგა ხანია, გამოიკვეთნენ.

ამბობენ, საჩხერეში უკვე იჭერენ საუმაღლესლიგო თადარიგსო და, ცხრილს თუ ჩაეხედავთ, სწორსაც აკეთებენ. ზემოთმხროული გუნდი ცხრა ქულით უსწრებს მესამეადგილოსანს და, მართალია, წინ კიდევ 17 ტურია, „ჩიხურა“ ძალიან უნდა დაბეჩავდეს, ჩემპიონი თუ არა, მეორე ადგილზე მაინც რომ ვერ გავდეს. თანაც, ეს ის „ჩიხურა“, თბილისის „დინამომ“ თასის მერვედფინალში 180 წუთი გოლი რომ ვერ შეუგდო.

მეორე გადმოსვლელის ვინაობის გამოცნობა კი უფრო ძნელია. „მერანი“ შვიდი ქულით კი უსწრებს

„გაგრას“, მაგრამ მუხრანში დაბანაკებული გაგრელები გვარიან ძალას წარმოადგენენ და ბოლო ტურამდე რომ იბრძობლებენ, მტკიცება არ უნდა.

დაწინაურებულთა შორის ორი ფარმკლუბიცაა. ამთვან ერთი, „ამერი 2“ კარგა ხანს ლიდერობდა კიდევ პირველ ლიგას, ახლანდელი ფავორიტი „ჩიხურაც“, დაამარცხა საჩხერეშივე, მერე კი რაღაც დაემართა, მიჯრით ოთხი თამაში წააგო, მეშვიდე ადგილამდეც დაქვეითდა, მაგრამ ბოლოსკენ ისევ ათამაშდა.


უმაღლესში გადასვლის სურვილი აქვს აგარის „მეშაქრესაც“, დაბრუნების სურვილი არ დაჰკარგვიათ „რუსთავს“ და „გურასს“, მაგრამ ვეჭვობთ, ამ სეზონში ამისგან რამე გამოვიდეს. თუმცა სარეზერვო ვარიანტი მათ მაინც რჩებათ — ეგებ, რომელიმე მესამე-

მეოთხე ადგილს უწიოს და გადათამაშებაში მოხვდეს.

ბერი იწვალა „მადაროელმა“, მე-16 ადგილამდეც აცოცდა, მაგრამ პირველი წრის ბოლოს თავის ჩვეულ ადგილს დაუბრუნდა. ისე კი, წინა სეზონი ჭიათურელებმა ისე ჩამთავრეს, ერთი თამაშიც არ მოუგიათ, ახლა კი ორი გამარჯვება აქვთ.

„მადაროელის“ დარად განწირული გვეგონია „ლიახვიც“. აი, მათ თავზე მყოფი გუნდებიდან ვინ გაიწირება გასაგარუნად, ძალიან ძნელი სათქმელია. თუნდაც „ხესტაფონის“ ფარმკლუბის ამბავი ავიღოთ: ზედიზედ 11 წაგების მერე გუნდმა ხუთი მოიგო და ასე თუ გააგრძელა, ვინძლო, გვარიანად ზევითაც აიწიოს. საერთოდ კი, ცხრილის ქვედა ნაწილში ფარმკლუბების დიდი თავმოყრაა, დებულებით კი ხუთი გუნდი ვარდება.

კობე კეკელია



ჩიხურამ პირველი წრე პირველ ადგილზე ჩამთავრა

## გადადებული მატჩი

### გაგრა 3:0 ზესტაფონი 2

ჩიხურა	17	13	2	2	52:20	41
მერანი	17	12	3	2	28:10	39
ამერი 2	17	10	2	5	25:14	32
გაგრა	17	9	5	3	24:13	32
დინამო 2	17	9	4	4	27:11	31
მეშაქრე	17	9	3	5	28:16	30
რუსთავი	17	8	4	5	28:19	28
გურია	17	7	4	6	27:20	25
მესხეთი	17	7	4	6	23:20	25
მეშახტე	17	6	6	5	19:12	24
საგარეჯო	17	6	3	8	16:17	21
ვიტ ჯორჯია 2	17	5	4	8	14:20	19
ზუგდიდი	17	5	4	8	8:16	19
ლოკომოტივი 2	17	5	1	11	14:33	16
თბილისი 2	17	4	4	9	18:30	16
ხესტაფონი 2	17	5	0	12	14:33	15
ლიახვი	17	3	0	14	15:46	9
მადაროელი	17	2	3	12	11:40	9

# ალმოსავლეთის მწვა

## გაგრაგის ოლ სტარი: ჩვენ ამათგან აპარჩევთ

პარბა ხანია, ბავშვთა ფეხბურთის საქართველოში არ უღიხნის, მაგრამ ტალანტები მაინც მოდიოდნენ და ალბათ კიდევ მოვლენ. ბავშვების შერჩევა, ანუ სწორი სელექცია ძნელი საქმეა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პროგრამით, გუშინ ორ ასაკში, 1990 და 1991 წლებში დაბადებულ ბავშვთა შორის აღმოსავლეთის და დასავლეთის ნაკრებებმა ითამაშეს. რა თქმა უნდა, მატჩებს სფფ-ის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი, გენმდივანი გრიგოლ ცაავა და სხვადასხვა გუნდების მწვრთნელებიც ესწრებოდნენ.

1990 წელს დაბადებულებმა ისანში, „ოლიმპის“ სტადიონზე იბურთავეს. ამ თამაშების მთავარი მიზანია, რაც შეიძლება, ბევრ ბავშვს დააკვირდნენ. ამიტომაც გუნდებმა ორ-ორი შემადგენლობით ითამაშეს. ორივე მატჩები აღმოსავლეთმა მოიგო — 6:0 და 3:0.

### ალმოსავლეთი | 6:0 დასავლეთი |

ალმოსავლეთი: მაკარაძე, ცოცხალაშვილი, ტყეშელაშვილი, თარგამაძე, გამრეკლიძე, მამუჩიშვილი, ნემსაძე, ლანიაშვილი, ბეგლარიშვილი, ყენია, კიკნაძე.

შეცვლაზე შევიდნენ: საღარიძე, ბერძენიშვილი, ჩადუნელი, ფაილოძე, თოდუა, დგებუაძე.

დასავლეთი: ბედინაძე, ერქვანია, გაბუნია, აფრიდონიძე, ჟორჯიანი, მჭედლიძე, ბერაძე, ნებიერიძე, შალიკაშვილი, მახარაძე, ბაციკაძე.

შეცვლაზე შევიდნენ: ჩიქოვანი, ალფაიძე, ლომთაძე, ყიფიანი. გოლები: ფაილოძე (3), ბეგლარიშვილი (2), ყენია.

უცნაურია, მაგრამ ამ მატჩის პირველი ტაიმი 0:0 დასრულდა, მეორე ნახევარში კი აღმოსავლელებმა ცალკარა გამართეს.

მშვენივრად ითამაშეს და ტრიბუნებს ტაში დასტყუეს გიორგი ნემსაძის ვაჟმა ვაჟა ნემსაძემ, ზაქრო ბეგლარიშვილმა, დავით ფაილოძემ და განსაკუთრებით, გიორგი ყენიამ. ეს ბიჭი აშკარად გამორჩეული იყო, ლამაზი გოლიც გაიტანა და საგოლე პასებიც არიგა.

### ალმოსავლეთი II 3:0 დასავლეთი II

ალმოსავლეთი: კოტრიკაძე, თვალავაძე, ქუნთელია, ალავერდ-აშვილი, პაპიტაშვილი, შონია, ჯინჭარაძე, ბეროშვილი, თურმანიძე, ხოკერაშვილი, გაგნიძე.

შეცვლაზე შევიდნენ: ემუხვარი, ჯალიაშვილი, ბუღალაშვილი, ჯიშკარიანი, ბერაძე.

დასავლეთი: ბოჭორაშვილი, თევდორაძე, სირაძე, გოგიტიძე, ფერაძე, რამიშვილი, საცერაძე, თექეთმანიძე, ლომიძე, გოგბერიშვილი, ქანდავაძე.

გოლები: ბეროშვილი (3), თურმანიძე, შონია.

აღმოსავლელთა უპირატესობა აქაც აშკარა იყო. და 3:0 პირველივე ტაიმში შესრულდა. განსაკუთრებით კი თურმანიძის გოლი იყო ლამაზი, ეფექტური თავურით რომ შეფრინდა კარში. წაგებულთაგან მაყურებელთა სიმპათია პატარა ტანის თექეთმანიძემ დაიმსახურა.

მთლიანობაში 1990 წელს დაბადებული 50-ზე მეტი ბავშვი გაისინჯა და, ცხადია, 17-წლამდელთა ნაკრების თავკაც ლევან მელიქიას ეს თამაშები ძალიან გამოადგებოდა — გაისად ხომ ევრომესარჩევ ციკლში სწორედ ამ ასაკის ბიჭებმა უნდა იბურთაონ?

„თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ დაკვირვება ამით დასრულდა, ჩვენ გავაგრძელებთ ძიებას და ვეცდებით, ფეხბურთელთა შერჩევაში არ შევცდეთ“ — გვითხრა ლევან მელიქიამ.

1991-წლიანებში კი 66 ბავშვი გაისინჯა და მთლიანობაში, მართლაც საინტერესო თამაშები გამოვიდა. ბავშვთა ფეხბურთის განყოფილების მენეჯერმა აუთანდილ შალამბერიძემ გვითხრა, მომავალ კვირაში ზუგდიდში ვაპირებთ მსგავსი მატჩების გამართვას, სამეგრელოში მცხოვრებ ბავშვებსაც უნდა დავაკვირდეთ. გაზაფხულზე კი რეგიონებს შორის უფრო ფართომასშტაბიანი ტურნირი იგეგმება.

### ალმოსავლეთი | 2:0 დასავლეთი |

გოლები: გობეჯიშვილი, მამაცაშვილი.

### ალმოსავლეთი II 0:0 დასავლეთი II

ილია ნანობაშვილი




მარამ დოლონაშვილის ფოტო





### დინამო იყო...

ჩემი რვასართულიანი კორპუსის კუთხეში გასტრონომი იყო — ახლა აღარ არის. გასტრონომის მხარეს აივნები გადმოდიოდა — ახლაც გადმოდის. მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ ეზოს მხარეზე არ ყვეები, თუმცა რა მნიშვნელობა აქვს. მთავარია, რომ კორპუსს აქეთა მხარესაც ჰქონდა ფართობი, სადაც ბავშვები ფეხბურთს ვთამაშობდით. ჩვენ ფეხბურთს ვთამაშობდით, ჩვენი უბნის სმის მოყვარული ძიები კი გასტრონომის წინ ლუდით პახმელიაზე გამოდიოდნენ. ერთხელ ერთი მოვიდა, ბურთი გადმომიგდეთო. ძალიან კი არ გვიყვარდა, თამაშს რომ გვაწყვეტინებდნენ, მაგრამ უფროსი იყო და უარს ხომ არ ვეტყვოდი. გადავუგდეთ. ნასვამს რა უნდა გაეკეთებინა ისეთი, გაკპრა-გამოკპრა იმ ბურთს ფეხი და გადაუვარდა. ეპო, მერე თვითონ თქვა, ფეხბურთელი უნდა გამოვსულიყავი, მაგრამ, აბა, ხომ ხედავთო, ბოთლზე მიგვითითა. იცით, მამაჩემი ვინ არისო? შურა დოროხოვიო. მიტრიალდა და გასტრონომის შესასვლელთან დადგა. ის კი დადგა, მაგრამ ჩემს ამბავს არ იკითხავთ? თან ვთამაშობ, თან სულ დოროხოვის ბიჭს ვუყურებ — ხუმრობა ხომ არ არის, ფეხბურთელები დედაშიწაზე თუ ცხოვრობდნენ, არ მეგონა და აქ კაცი იძახის, დოროხოვი მამაჩემიაო. საღამოს მამას მოუყვები ეს ამბავი. მითხრა, რომ დოროხოვი მართლა ახლოს ცხოვრობდა და მისი ბიჭი კი არა, ლუდს ჩვენს გასტრონომთან ძალიან ხშირად თვითონაც სვამდა. გადავირიე და ჩავუსაფრდი. თუ ეზოში ვიყავი, ხომ კარგი, თვალები დაჭყეტილი მქონდა, თუ არა და, აივნებიდან ვივარდებოდი კისერს. ერთხელ ვნახე. ჭაღარა, ლუდის ბოთლით ხელში და მე თუ მკითხავთ, ძალიან მაგარი. თუმცა, მეორედაც დავინახე, ამ ამბიდან ცოტა ხანში, მაგრამ მაშინ უკვე სხვა იყო, მისვენებდნენ...



პლენარისა და დილუბის გარდა, „დინამოს“ ვაკეშიც, ძველ „ლოკომოტივშიც“ უთამაშია

# უშიშროების საშიშროება და დინამო კლესანოვზე

...მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი **მხატვარი მხატვარი** 87 წლისაა და თბილისის „დინამოზე“ მოსაყოლი ბევრი აქვს. მართლაც, ყველაფერს ცნობარებში ვერ ამოვიკითხავთ და ბევრი ამბავი თუ ლეგენდა ზეპირსიტყვიერებითაა შემორჩენილი. ბატონ ვახტანგს 20-30-40-იანი წლების „დინამოს“ რამდენიმე ამბავი მოვაცოლებთ, რაც ალბათ ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს...

\*\*\*

„დინამოს“ თამაშზე პირველად 1927 წელს წავედი, მაშინ ცხრა წლის ვიყავი. 20-იანი წლების „დინამოს“ მთავარი ფიგურა ანდრო ჟორდანი იყო. ასეთი ფორვარდიც თამაშობდა მაშინ — ნიკოლაი ანიკინი — და მასზე ამბობდნენ, მარჯვენა ფეხით დარტყმა აკრძალული აქვს, რადგან ძალიან ძლიერად ურტყამსო. იმდროინდელ „დინამოში“ თამაშობდა ასლამაზოვიც, ვინც უშიშროების თანამშრომელი იყო და სამსახურში მოიკლა თავი.

\*\*\*

„დინამო“ რომ შეიქმნა, მაშინ მთავარი კაცი ანდრო ჟორდანი იყო, რომელიც მწვერთვის ფუნქციებსაც ითავსებდა. მაშინდელ „დინამოში“ იყო ერთი ასეთი ფეხბურთ-

ელიც — გოგი ვაჩნაძე, მეტსახელად „ბტიკა“, რომელიც გადასახლეს მხოლოდ იმიტომ, რომ თავადების შთამომავალი იყო. გადასახლებიდან ორი-სამი წლის შემდეგ ის დაბრუნდა თბილისში და სათავეში ჩაუდგა ზიის (ამიერკავკასიის ინდუსტრიული ინსტიტუტი) გუნდს, რომელიც ამიერკავკასიის ჩემპიონიც კი გახდა.

\*\*\*

20-იან წლებში „დინამოს“ სტადიონი პლენარზე იყო, რომლის ტრიბუნებზე 1 500 კაცი ეტეოდა, იქ მართავდა თავის პირველ მატჩებს „დინამო“. ეს სტადიონი ახლა სამხედრო აკადემია რომაა, იმასთან ახლოს იყოს, პროსპექტის მეორე მხარეს.

\*\*\*

ჟორდანის შემდეგ „დინამოს“ კაპიტანი ბათუმიდან ჩამოსული ჭიჭიკო ფაჩულია იყო, უშიშროების თანამშრომელი, ვინც მოგვიანებით აფხაზეთის უშიშროების სამინისტროს ხელმძღვანელობდა, ხოლო როცა ლავრენტი ბერია დაიჭირეს, ისიც ჩასვეს ციხეში 25 წლით.

\*\*\*

ფაჩულიას შემდეგ „დინამოს“ კაპიტანი შოთა შავგულიძე გახდა. გოგი ვაჩნაძეზე კი კიდევ ერთ ამბავს გეტყვით: იგი 1937 წელს საქართველოს უშიშროების ხელმძღვანელმა გამსახურდიამ დაიბარა

და უთხრა, ახლავე წადი ვაგზალზე და მოსკოვში გაემგზავრე, თორემ დაგიჭერენო. ვაჩნაძემ დაუჯერა გამსახურდიას, წავიდა მოსკოვში და იქაურ გუნდ „სერბ ი მოლოტში“ დაიწყო თამაში. შემდეგ ფრონტზე გაიწვიეს, გერმანიაში ჩავარდა ტყვედ და ომის დამთავრების შემდეგ ამერიკაში წავიდა საცხოვრებლად.

\*\*\*

სხვათა შორის, პაიჭაძე ფოთიდან თბილისში რომ ჩამოვიდა, სწორედ ვაჩნაძის ზიი-ში თამაშობდა, მერე ამ გუნდს გეპეის გუნდი დაერქვა და იქიდან მოხვდა პაიჭაძე „დინამოში“.

\*\*\*

პირველი საერთაშორისო მატჩები „დინამომ“ 1937 წელს ითამაშა ბასკეთის ნაკრებთან და ორივე შეხვედრა წააგო — 0:2 და 1:3 — ასეთი ძლიერი გუნდი მანამდე არ გვინახა. ამბობდნენ, ეს ბასკეთის კი არა, ესპანეთის ნაკრებია, რომელიც 1934 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე მესამე ადგილზე გავიდაო. ბასკებთან მატჩზე ბილეთი 25 მანეთად ვიყიდე გადაამყიდველებისგან. მაშინ საშუალო ხელფასი 100 მანეთი იყო, მაგრამ მამაჩემი ექიმი ვახლდით და მისთვის 25 მანეთის წართმევა მოვახერხე. ბასკებთან მეორე მატჩზე გადაამყიდველებში ბილეთის ფასმა 15 მანეთამდე დაიწია.

\*\*\*

1944 წელს „დინამო“ ირანში გაემგზავრა ტურნეზე და იქ ყველა მატჩი მოიგო. სპარსელებმა „დინამოს“ საფეხბურთო მოედნის ფორმის ტორტი მართვეს ფეხბურთელების, მსახურების და მწვერთვების ფიგურებით. პაიჭაძემ მსაჯი შეჭამა, გაგუამ ლაინსმენი, სხვამ მეტოქე ფეხბურთელი და, როცა ტორტი „დინამოს“ მწვერთველ სოკოლოვამდე მივიდა, მასზე მხოლოდ სოკოლოვი იყო დარჩენილი. მე რატომღა არ შემჭამეთო, უკითხავს მწვერთველს და ფეხბურთელებსაც უთქვამთ, დოქტორ სოკოლოვ (ასე მიმართავდნენ მას), თქვენი შეჭმა ვინმეს რომ გაუბედა, მას ალბათ აღარ ათამაშებდით ძირითადადო.

\*\*\*

ერთხელაც „დინამოს“ მეკარე დოროხოვი თამაშის წინა დღეს გუნდში არ მივიდა, თურმე ბოშებს დაუპატიჟებიათ და ქეფობდა. თამაშის დღეს დილის ათ საათზე მივიდა გუნდთან და შოთა შავგულიძე მას ძალიან გაუწყრა. ახლა ნულარაფერს მეტყვით, ცოტა არაფი მომიტანეთ და, თუ თამაშში ვერ ვივარდებ, მერე რაც გინდათ, ის მიქნითო. მოუტანეს დოროხოვს არაფი, დალია და იმ მატჩში კარში ისე იდგა, დაფრინავდა. მას შემდეგ დოროხოვს სმის გამო აღარ უწყებოდნენ.



# ოსუ-ს ხელს უგრძობელია მიაშველებს დინამოს ნიკორასი არ ეუბინია

სვალნიდელი ტურის ცენტრალური მატჩი, ოსუ-„დინამო“ იმითაცაა გამორჩეული, რომ შესაძლოა, დავით უგრძობელიძემ ითამაშოს. ერთი შეხედვით, თითქოს ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ მაინც ამით დავიწყეთ.

მაშ ასე, მრავალი წლის განმავლობაში უცხოეთში, ძირითადად სლოვენიაში მოღვაწეობდა უგრძობელიძე ეროვნულ ჩემპიონატს უბრუნდება. ბოლოს მან ვერის ბაღში 2000 წელს ითამაშა, რის შემდეგაც სლოვენიაში წავიდა და თბილისში ის ნაკრების თამაშებზე თუ გვინახავს. „უგრე“ ახლაც უცხოეთში წასვლას ლამობს, მაგრამ საქმე გაუჭიანურდა და კომპანია „ნიკორასგან“ წელგამართულ ოსუ-ს მიაკითხა. ეს ამბავი სტუდენტების მწვერთნელმა გია ჯავახიშვილმა გვამცნო ოსუ-„დინამოს“ წინასამატჩო პრესკონფერენციაზე...

— დავით უგრძობელიძე შეგვემართა, რომელიც, ალბათ, ირანში წასული დავით მუშუკუდიანის კარგი შემცვლელი იქნება. გვსურს, ის სეზონის ბოლომდე შევიწინაწინიოთ, მაგრამ თუ საზღვარგარეთ წასვლის შანსი გამოუჩნდა, ალბათ უძღვრნი ვიქნებით.

„დინამოს“ წინააღმდეგ ალბათ ვერ ითამაშებენ ბესიკ ლეჟავა და ზურაბ სანიკიძე, რომლებმაც წინა ტურში რუსთაველი ტრავმები მიიღეს.

ჟურნალისტები დაინტერესდნენ, თუ რა მოხდა რუსთაველის სკანდალურ მატჩში და ჯავახიშვილს განმარტება სთხოვეს...

— რუსთაველი თამაში ნებისმიერი გუნდისთვის ძნელია და გამონაკლისები არც ჩვენ გამოვდევით. საბოლოოდ ერსლოვანებით გავიმარჯვეთ, თუმცა მასპინძლები ყველაფერში მსაჯებს ადანაშაულებდნენ. ჩემი აზრით, მართლაც ასე მოხდა, მაგრამ ეს არ იყო უპატივებელი შეცდომა. თამაშის დასრულებამდე 19 წამით ადრე 4 ქულას ვაგებ-

დით და საბოლოოდ 2 ქულით ვიმარჯვეთ. გაწვევა-გამოწვევა იყო და მატჩი კარგა ხნით შეწყდა, რაც მიუღებელია.

„ოსუ-ნიკორას“ უკანახაზელმა არაკლი მაისურაძემ უშუალოდ თამაშის ირგვლივ ისაუბრა...

— „დინამომ“ ორი ძლიერი გამთამაშებელი დაკარგა ლაშა გამყრელიძისა და გიორგი ცინცაძის სახით. მიუხედავად ამისა, ამ გუნდის თამაშს სიმწვავე ბევრად არ მოჰკლებია. თან ლიდერს ეთამაშებიან და დინამოელები, რომ იტყვიან, ბრწყინებით იბრძობდნენ. ახალგაზრდებისთვის ეს თვითდამკვიდრებისა და თავის გამოჩენის კარგი შესაძლებლობა იქნება.

ჩვენი მხრივ ამ მატჩს ძალიან სერიოზულად ვეკადებით, ვფიქრობ, რომ თუ მთელი მონღოლებით არ ვითამაშეთ, „დინამოს“ ვერ მოვუგებთ.

დავით უსტიაშვილი, „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი:

— ძალიან ძლიერი მოწინააღმდეგე გვყავს, რაზეც მისი დაუმარცხებელი სერია მეტყველებს. „ოსუ-ნიკორას“ ჯერ არ წაუგია და, ცხადია, იბოლოანი ტრადიციის გაგრძელებას აპირებს, მაგრამ ჩვენც არანაკლები მოტივაცია გავგვანია. „ავიამშენთან“ და სტუ-სთან ბოლო წუთებზე დასანანად წაუგებთ და იმ თამაშებში გამყრელიძე და ცინცაძე არ გვყოლია. ამის გათვალისწინებით, ოსუ-სთან მატჩს ოპტიმისმით ვვხედვით. ვფიქრობ, შანსები თანაბარია. „დინამო“ საბრძოლოდაა განწყობილი, არაფრის დათმობას არ ვაპირებთ.

ლექსო ლაფანაშვილი, „დინამოს“ ფორვარდი:

— „ოსუ-ნიკორას“ ყველაზე მობილიზებული გუნდია ჩვენს ჩემპიონატში, გამარჯვების მიღწევა ძალიან გაგვიჭირდება. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ, რათა ოსუ-ს წაუგებელი სერია შევაწყვეტინოთ.

## ირაკლი პერტაია

# დინამოელმა დინამო დაიბაჰა ცინცაძემ მოსკოვში დაბრუნდა

უცხოეთში ალბათ აუცილებლად წავალ, მაგრამ რუსულ კლუბში რომ არა, ამაში დარწმუნებული ვარო, ვეითხრა გიორგი ცინცაძემ ოქტომბერში, როცა მას ცსკა-მ კონტრაქტი გაუწყვიტა და სათამაშოდ თბილისის „დინამოში“ ჩამოვიდა.



მაგრამ, აი, ორი კვირის წინ ცინცაძე მოსკოვის „დინამოში“ გამოიბახეს გასინჯვებზე. ცინცაძე იქ დაუფიქრებლად წავიდა და ორი დღის წინ მისი ამ გუნდში დარჩენაც გადაწყდა.

„ახლა კონტრაქტის პირობებზე მიმდინარეობს მუშაობა, რაც სამოთხე დღეში დასრულდება და გიორგი მოსკოვის „დინამოში“ ოფიციალურად ჩაირიცხება, — ვეითხრა გუშინ ცინცაძის დედამ, ქალბატონმა იამ. — სიტყვიერი შეთანხმება მიღწეულია, მაგრამ ჯერ უცნობია, დინამოელები რამდენწლიან კონტრაქტს გაუფორმებენ გიორგის“.

ორი კვირაა ცინცაძე მოსკოვის „დინამოში“ ვარჯიშობს და კონტრაქტს რომ გააფორმებს, ოფიციალურ მატჩებში თამაშის უფლებაც მიეცემა. მიუხედავად იმისა, რომ ასაკი ხელს უწყობს, გიორგის დუბლიორებთან შეხება არ ექნება, ის „დინამოს“ ძირითად გუნდში ითამაშებს ევროკალათბურთის გამორჩეული ვარსკვლავების მხარდამხარ.

ნტრაქტს რომ გააფორმებს, ოფიციალურ მატჩებში თამაშის უფლებაც მიეცემა. მიუხედავად იმისა, რომ ასაკი ხელს უწყობს, გიორგის დუბლიორებთან შეხება არ ექნება, ის „დინამოს“ ძირითად გუნდში ითამაშებს ევროკალათბურთის გამორჩეული ვარსკვლავების მხარდამხარ.

## ირაკლი პერტაია



ზაზამ ამჭერად ვილანუევა კი შეაჩერა, მაგრამ...

# ატლანტა ბოლო ადგილზე ჩამოქვეითდა

2 დეკემბერი

**ატლანტა 101:102 ტორონტო**  
ატლანტა: ფარულა (11 ქულა, 14 მოხსნა, 2 დაფარება, 2 ჩაჭრა, 4 დაკარგვა), ჯ. ჯონსონი (34 ქულა, 6 მოხსნა, 10 პასი), პარინგტონი (24 ქულა, 9 მოხსნა, 5 პასი), ს. სტუდემიერი (11 ქულა), ჯ. სმიტი (8 ქულა), ჩილდრესი (8 ქულა), ლიუ (3 ქულა), მ. უილიამსი (2 ქულა), იდგარდსი, აივი

**ტორონტო:** ბოზი (23 ქულა, 9 მოხსნა), ვილანუევა (22 ქულა, 10 მოხსნა), პეტერსონი (15 ქულა), როუზი (15 ქულა), მ. ჯეიმსი (13 ქულა, 7 პასი), კალდერონი (10 ქულა, 6 პასი), არაუჯო (2 ქულა), ბონერი (2 ქულა), გრემი

**ვაშინგტონი 102:105 მილუოკი**  
ვაშინგტონი: არენასი (34 ქულა), კ. ბატლერი (27 ქულა), ა. ჯეიმსონი (15 ქულა, 12 მოხსნა)

**მილუოკი:** მ. უილიამსი (35 ქულა, 6 პასი), მაგლორი (17 ქულა, 13 მოხსნა), რედი (16 ქულა)

**ბოსტონი 102:106 ჩიკაგო**  
ბოსტონი: პირსი (43 ქულა, 11 მოხსნა), ბლაუნტი (14 ქულა), რ. დევიზი (12 ქულა, 5 მოხსნა, 5 პასი)

**ჩიკაგო:** დენგი (28 ქულა, 9 მოხსნა), გორდონი (20 ქულა), ნორიონი (18 ქულა, 8 მოხსნა)

**დეტროიტი 106:98 ნიუ იორკი**  
დეტროიტი: ჰამილტონი (40 ქულა), პრინსი (19 ქულა, 10 მოხსნა), ბ. უოლესი (15 ქულა, 11 მოხსნა)

**ნიუ იორკი:** კროფორდი (22 ქულა), ფრაი (21 ქულა), მარბერი (11 ქულა, 11 პასი)

**მემფისი 91:69 ორლანდო**  
მემფისი: მ. მილერი (25 ქულა, 6 მოხსნა), ბ. ჯექსონი (13 ქულა), დ. სტუდემიერი (11 ქულა)

**პორტლენდი 78:98 ინდიანა**  
პორტლენდი: ჯევი (15 ქულა), რენდოლფი (12 ქულა)

**ინდიანა:** ჯ. ონილი (27 ქულა, 15 მოხსნა), იასკევიჩი (14 ქულა), არტესტი (12 ქულა)

**ლეიკერსი 108:113 მინესოტა**  
ლეიკერსი: ოდომი (24 ქულა, 7 მოხსნა, 8 პასი), ს. პარკერი (22 ქულა), ბრაიანტი (20 ქულა, 9 მოხსნა, 8 პასი)

**მინესოტა:** შერბიაკი (34 ქულა), გარნეტი (29 ქულა, 8 მოხსნა), ჰადსონი (18 ქულა)

**საინტონი 115:108 კლივლენდი**  
საინტონი: რ. ლიუისი (26 ქულა), მიურეი (24 ქულა), ალენი (21 ქულა, 6 მოხსნა)

**კლივლენდი:** ლ. ჯეიმსი (34 ქულა, 8 პასი), პიუზი (21 ქულა, 6 პასი), დ. ჯონსი (16 ქულა)

**ნიუ ჯერსი 82:95 ტორონტო**  
ნიუ ჯერსი: კიდი (17 ქულა, 6 მოხსნა, 6 პასი), ჯეფერსონი (15 ქულა, 10 მოხსნა)

**ტორონტო:** ბოზი (29 ქულა, 13 მოხსნა), პეტერსონი (24 ქულა), ვილანუევა (12 ქულა)

**ჩიკაგო:** 79:92 დეტროიტი  
ჩიკაგო: დენგი (18 ქულა, 9 მოხსნა), სეიტინი (15 ქულა, 8 მოხსნა)

**დეტროიტი:** რ. უოლესი (26 ქულა, 5 მოხსნა), ბილაპსი (17 ქულა, 11 პასი), პრინსი (17 ქულა, 7 პასი)

სსნა), ტერი (20 ქულა), მ. დენიელსი (13 ქულა, 5 პასი)

**ნიუ ორლანდი:** პოლი (25 ქულა, 6 მოხსნა, 5 პასი), კლეტსონი (21 ქულა)

**სან ანტონიო 100:91 ვილანუევა**  
სან ანტონიო: პარკერი (20 ქულა, 8 მოხსნა, 7 პასი), დანვანი (16 ქულა, 12 მოხსნა), ბ. ბერი (14 ქულა)

**ვილანუევა:** აივერსონი (37 ქულა), ვებერი (11 ქულა, 13 მოხსნა)

**დენვერი 101:99 მიაჩიგი**  
დენვერი: ენტონი (23 ქულა), ა. მილერი (22 ქულა, 6 მოხსნა, 7 პასი), ბოკინსი (12 ქულა)

**მიაჩიგი:** უეიდი (32 ქულა, 6 მოხსნა, 6 პასი), უოლკერი (20 ქულა, 7 მოხსნა), პეიტონი (17 ქულა)

**კლიპერსი 102:90 კლივლენდი**  
კლიპერსი: ბრენდი (30 ქულა, 9 მოხსნა), მაგეტი (24 ქულა), კამანი (12 ქულა, 19 მოხსნა)

**კლივლენდი:** ლ. ჯეიმსი (30 ქულა), ილგაუსკასი (20 ქულა, 8 მოხსნა)

**პარასკეპსი** ღამით ზაზა ფაჩულის „ატლანტა ჰოუქსი“ მასზე წყალწაღებულ „ტორონტოს“ მასპინძლობდა. ამ მატჩამდე კანადელებს კინკლა მოგება ჰქონდათ აქტივში, „ატლანტას“ კი — 2. თუმცა „ტორონტოსთვის“ ეს უქმეები მეტად იღბლიანი გამოდგა — მან „ატლანტას“ მოუგო, ხოლო მეორედღეს „ნიუ ჯერსი“ დაამარცხა და ჩვენებურის გუნდს ბოლო ადგილი გადაულოცა.

ეს მატჩი მეტად დაძაბული იყო და, მიუხედავად იმისა, რომ აუტსაიდერები თამაშობდნენ, საკმაოდ კარგი საცქერი გამოდგა. მატჩის ხასიათზე საბოლოო ანგარიშიც მეტყველებს — 102-101 კანადელთა სასარგებლოდ.

ზაზამ ეს შეხვედრა საკმაოდ კარგად ჩაატარა და მორიგი ორმაგი დუბლი შეასრულა. მის ანგარიშზე 11 ქულა და 14 მოხსნა იყო, რასაც კიდევ 2-2 დაფარება და ჩაჭრა დაეყოლა.

რაც უნდა იყოს, კარგია, რომ ქართველი საკმაოდ მაღალ დონეზე სტაბილურად თამაშობს.

„ატლანტამ“ კი ეს შეხვედრა მატჩის მიწურულს წააგო. ტორონტოელთა ახალბედა მოთამაშე ჩარლი ვილანუევამ კარგად გამოიყენა ესპანელი ხოსე კალდერონის პასი და თამაშის დასასრულამდე 2,5 წამით ადრე საბოლოო ანგარიშიც დაავიქსირა.

ჯორჯიელებს მატჩის გადარჩენა შეეძლოთ. ტაიმაუტის შემდეგ მათ გადაწყვეტი ტყორცნის უფლება წლეულს „ფინიქსიდან“ გამოეყვანათ, მაგრამ მათ ვინც ვინც მიანდეს, რომელმაც „ტორონტოსთან“ კარიერის საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა და 34 ქულაც მოაგროვა. მაგრამ მსაჯებმა ვოს ზაზაზე დაბრუნება დაუფიქსირეს და ბურთი კანადელებს გადასცეს.

„არ ვარ დარწმუნებული, რომ ზაზას ფეხი დავადგი, მაგრამ რადგან მსაჯმა თქვა, ესე იგი ასე იყო“ — განაცხადა მატჩის შემდეგ ჯო ჯონსონმა.

„ატლანტას“ დამრიგებელი მაიკ ვუდსონი კი დაცვაში დაშვებულ შეცდომას ვერ ინელებდა: „ვილანუევა ღვაწლში საჯარო ტყორცნების ერთ-ერთი ყველაზე უფრო ცუდი შემსრულებელია, ამიტომ მასზე უნდა დავეჯარიმებოყვიოთ.“

ასე თუ ისე, „ატლანტამ“ წლეულს უკვე მეცამეტედ წააგო და ასოციაციაში ყველაზე უარესი მანკვებელიც სწორედ მას აქვს.



# აბსოლუტური აბსოლუტურად დაპყრობით

## რუსეთის პრეზიდენტი ევროპის ქიულოისტთა პრეზიდენტისაა

შაბათს მოსკოვში მიულოში ევროპის აბსოლუტურ პირველობას უმასპინძლა. ჩემპიონატში ქართველი ძიუდოისტები ლამა გუჯეჯიანი, გიორგი ყიზილაშვილი და ივერი ჯიქურაულიც მონაწილეობდნენ. სამწუხაროდ, მათი გამოსვლა წარუმატებელი გამოდგა. გიორგი ყიზილაშვილი პირველ ბრძოლაში თავიდან ქულებით კი უგებდა ფრანგ პიერ რობენს, მაგრამ ბოლოს იპონით დამარცხდა. მერვედფინალშივე ასევე ფრანგ მატე ბატაისთან დამარცხდა ივერი ჯიქურაულიც, რომელმაც ქულებით წააგო.

ქართველთაგან ყველაზე კარგად ლამა გუჯეჯიანი გამოვიდა. მან პირველ შეხვედრაში პოლონელ გუგოვიჩს მოუგო ქულებით, მომდევნო წრეში კი იპონით დამარცხდა სიდნეისა და ათენის ოლიმპიური თამაშების პრიზიორ რუს ტამერლან ტემჩოვთან, ვინც ფინალში ალექსანდრ მიხაილის სძლია და ამ მსოფლიოს

სამგზის ჩემპიონის წლებადღეს გამარჯვებულად სერიატ შეწყვიტა. მოსკოვში ევროპის აბსოლუტური ჩემპიონატი ქალებს შორისაც ჩატარდა. აქ ფინალში იმარჯვა ფრანგმა ან სოფი მონდერმა, რომელმაც რუსეთის სახელით მოასპარეზე ათენის ოლიმპიური თამაშების პრიზიორს პრიზიორს, ჩვენს თანამემამულე თეა ლონდუზაშვილს სძლია. მათი შეხვედრის ბედი ერთადერთმა გაფრთხილებამ გადაწყვიტა, რომელიც ლონდუზაშვილმა მიიღო. ამგვარად, ფრანგმა შარშან მოპოვებული ტიტული შეინარჩუნა.

ჩემპიონებს მედლები გადასცა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა, რომელიც ევროპის ძიუდოს კავშირის საპატიო პრეზიდენტად აირჩიეს. მას შესაბამისი სერტიფიკატი ამავე კავშირის პრეზიდენტმა მარიუს ვიზორმა გადასცა.

ლემსო მანუჩაძე



ჯო ტორნტონის (N19) გადმოყვანამ „სან ხოსე“ გამოაღვიძა

# გაქარწყლებული მითი

ბოლო ორი დღის თამაშებმა გააქარწყლა მითი იმაზე, რომ ნლეულს აღმოსავლეთის კონფერენცია დასავლეთზე გაცილებით ძლიერია. პარასკევსა და შაბათს კონფერენციების გუნდები ერთმანეთს

რომ შეეჯახნენ, 13 დაპირისპირებიდან შვიდში გამარჯვება წილად დასავლეთელებს ხვდათ. თანაც ამჯერად ამ კონფერენციის ბობოლები — „დეტროიტი“ და „კოლორადო“ — არ მონაწილეობდნენ.

### 2 დეკემბერი

**სან ხოსე 5:0 გუჯალო**  
4:0 1:0 0:0  
1:0 სტივენსონი (5), 2:0 ჩიჩუ (6), 3:0 მიხალევი (7), 4:0 დიმიტრაკოსი (12), 5:0 ჩიჩუ (23)

**ჯო ტორნტონმა „სან ხოსეში“** გადასვლის შემდეგ პირველივე მატჩში დაამტკიცა, რომ მისმა ახალმა კლუბმა სწორი ნაბიჯი გადადგა. უკვე მე-9 წამზე მან ძელს გაარტყა შაიბა, ხოლო შემდეგ ორჯერ მოამარაგა ჯონატან ჩიჩუ ზუსტი პასებით. რაც მთავარია, თავისი ენერჯითა და ჟინით პარტნიორებიც დამუხტა.

„არა მგონია, რომ ტორნტონს სკოდადონა, რას წარმოადგენს ჩიჩუ, მაგრამ პირველივე მატჩში მან ჩინებული ურთიერთობა დაამყარა თავის ახალ პარტნიორთან“, — თქვა ნამატჩევს „სან ხოსეს“ თავკაცმა დუგ უილსონმა.

აქვე დაეძინა, რომ ჯოს მეორე პარტნიორი სამეულში მისი ბიძაშვილი სკოტ ტორნტონი გახლდათ.

**ოტავა 5:1 ლოს ანჯელისი**  
2:0 1:1 2:0  
1:0 ბოჩენსკი (8), 2:0 პიტლი (12), 2:1 დემიტრა (28), 3:1 ვერმუტი (39), 4:1 პიტლი (47), 5:1 ფიშერი (47)

**დალასი 5:4 კაროლინა**  
3:1 1:1 0:2 0:0 1:0  
**ბულიტების სერიაში**  
1:0 მოდანო (1), 1:1 ნორდგრენი (8), 2:1 კაპანენი (10), 3:1 მოდანო (15), 3:2 ლადი (26), 4:1 მოროუ (33), 4:3 სტილმანი (48), 4:4 უილიამსი (55), 5:4 გადამწყვეტი ბულიტი: მოდანო

**ტამპა 3:2 ჩიკაგო**  
1:1 1:1 0:0 0:0 1:0  
**ბულიტების სერიაში**  
1:0 სან ლუი (12), 1:1 სიბრუკი (19), 2:1 ლეკავალიე (33), 2:2 ბელი (40), 3:2 გადამწყვეტი ბულიტი: რიჩარდსი

### 3 დეკემბერი

**ფინიქსი 8:4 კაროლინა**  
3:1 3:1 2:2  
1:0 კომბი (11), 2:0 სენდერსონი (13), 3:0 ჯონსონი (19), 3:1 ლადი (19), 4:1 ნადი (26), 4:2 სტაალი (28), 5:2 ნადი (29), 6:2 ჯონსონი (31), 7:2 მიხალევი (42), 7:2 ბრინდამორი (47), 8:3 ნადი (55), 8:4 კაბერლე (56)

**ბოლოს** „ფინიქსი“ ერთ მატ-

ჩში რიცხვმრავლობაში 5 შაიბას მაშინ იტანდა, როცა გუნდი ჯერ ვინიპეგში მდებარეობდა, ლადისლავ ნადს კი აქამდე 5 ქულა (მათ შორის 3 გოლი) არ მიუთვლია.

**ნიუ ჯერსი 3:2 მინესოტა**  
0:0 1:0 1:2 0:0 1:0  
**ბულიტების სერიაში**  
1:0 პანდოლო (31), 1:1 როლსტონი (41), 1:2 ზიუზინი (43), 2:2 კოზლოვი (57), 3:2 გადამწყვეტი ბულიტი: კოზლოვი

**მონრეალი 3:2 ლოს ანჯელისი**  
1:0 1:2 1:0  
1:0 დაფენე (19), 1:1 ბელანგე (22), 1:2 კოუენი (24), 2:2 დაფენე (28), 3:2 ბულიტი (45)

**ლოსანჯელისელ** შონ ევერის ამიერიდან მონრეალში ჩატარებული ყველა მატჩი წამებად ექცევა, რადგან ენას კბილი ვერ დააჭირა. ამას წინათ, „ფინიქსის“ მცველმა დენის გოტიემ ევერის თანაკლუბელ ჯერემი რენიკის წინააღმდეგ ძალიან მძიმე ილეთი ჩაატარა, რის შემდეგაც შონმა თავს უფლება მისცა, ასეთი კომენტარი გაეკეთებინა:

„ამ ფრანკო-კანადელებმა ასე იცინა, მით უმეტეს, თუ ვიზორი (სახის დამცავი მინა) უკეთიათ. თვითონ ხისტად თამაშობენ, მაგრამ არ მოსწონთ, როცა საპასუხოს დაუბრუნებ“.

**ტორონტო 4:5 სან ხოსე**  
3:1 0:3 1:1  
0:1 ბენენი (5), 1:1 ტაკერი (6), 2:1 ლინდროსი (10), 3:1 სტივენსონი (11), 3:2 მარლო (26), 3:3 მაკოლი (29), 3:4 სმიტი (32), 3:5 მაკოლი (55), 4:5 ელისონი (58)

**როკოტო** იქნა, „სან ხოსემ“ გოლების გატანა დაიწყო. ზედიზედ მეორე მატჩში შეაგდეს „ზვიკენებმა“ 5 შაიბა და ახალშეძენილმა ჯო ტორნტონმა კვლავ შეიტანა წვლილი 2 პასით.

„ახლა სულაც აღარ ვფიქრობთ, რომ 2 გოლზე მეტის გატანა გავიჭირებთ. მარტო ჯოს შეუძლია, ორის მოშაღება, დანარჩენებმა კი მხოლოდ მხარი უნდა დაუჭირონ“, — თქვა ნამატჩევს ალინ მაკოლიმ, რომელმაც ორი შაიბიდან ერთი ტორნტონის პასით შეაგდო.

### 30 ნოემბერი

**ვაშინგტონი 5:1 რეინჟერსი**  
2:0 2:0 1:1  
1:0 ოვეჩინი (13), 2:0 ზუბრუსი (17), 3:0 ემინგერი (29), 4:0 ჰელპერნი (38), 5:0 პეტინგერი (45), 5:1 პრუსა (59)

**ალექსანდრ** ოვეჩინმა ექვსმატრიანი საგოლე გეგულა შთამბეჭდავი ასპარეზობით და 4 (1+3) ქულით დაასრულა. თან „რეინჯერსის“ ექვსმატრიანი მოგებების სერიაც შეწყვიტა.

**პიტსბურგი 2:3 კალგარი**  
0:1 1:0 1:2  
0:1 ნილსონი (10), 1:1 კროსბი (29), 1:2 ლენგკოუ (42), 1:3 ლენგკოუ (44), 2:3 ვანდენბუში (53)

**კრისტინან** ჰისელიუსი „კალგარში“ პირველ მატჩს ატარებდა „ფლორიდიდან“ გადასვლის შემდეგ და ეს სამი საგოლე პასით აღნიშნა.

**ფლორიდა 4:3 ჩიკაგო**  
2:0 0:0 1:3 1:0  
1:0 შორტონი (14), 2:0 კოლივი (19), 2:1 ლაპონტი (47), 3:1 შორტონი (47), 3:2 ბურკი (48), 3:3 პოლმპეისტი (54), 4:3 იოკინენი (64)

**ედმონტონი 4:5 ბოსტონი**  
2:0 1:3 1:1 0:1  
1:0 შარვი (13), 2:0 რ. სმიტი (16), 3:0 პიზანი (25), 3:1 ბოიზი (27), 3:2 სამსონოვი (48), 3:3 ბოიზი (32), 3:4 ბერეურონი (41), 4:4 პიზანი (44), 4:5 ტანაბე (65)

**ანაჰაიმი 2:1 ატლანტა**  
0:0 1:0 1:1  
1:0 ლუპული (28), 1:1 ლარსენი (54), 2:1 მაკდონალდი (56)

**ნეშვილი 4:3 ფილადელფია**  
1:1 2:1 0:1 0:0 1:0  
**ბულიტების სერიაში**  
0:1 კნუბლი (10), 1:1 კარია (10), 1:2 რიჩარდსი (29), 2:2 ერატტი (34), 3:2 პერო (38), 3:3 ჰენრი (58), 4:3 გადამწყვეტი ბულიტი: კარია

„პარია გონიერი და მოაზროვნე პოკისტია. ის ყოველთვის აკვირდება მეკარეებს, ზედმიწევნით სწავლობს მათ თვისებებს და ისე ელვისებურად მოქმედებს, ვერასოდეს მიხვდები, როდის დაარტყამს. ნამდვილი ხელოვანია“, — ასე შეაქო „ნეშვილის“ ენამახვილმა თავკაცმა გუნდის ლიდერი პოლ კარია ჩინებულად შესრულებული ბულიტის შემდეგ.

სამგელ ლარსენი

### ჯოგბურთი

# მაკინროი, არ მესუბერებაო


## ჯონ მაკინროი ATP-ის ფავორიტა თანრიგში ითავაზებს

ყველა დროის ერთ-ერთმა საუკეთესო ჩოგბურთელმა, ამერიკელმა ჯონ მაკინროიმ დიდ ჩოგბურთში დაბრუნება გადაწყვიტა და შვედ იონას ბიორკმანთან წყვილში აპირებს მონაწილეობა მიიღოს 13-19 თებერვალს გასამართ სან-ხოსეს ტურნირში. თუმცა, ეს ერთჯერადი მოვლენა იქნება, თუ მაკინროი წყვილთა თანრიგში სხვა ტურნირებზეც აპირებს თამაშს, ჯერჯერობით უცნობია.

რაკიდა თანამედროვე ჩოგბურთში შვედიც ერთ-ერთ საუკეთესო მეწყვილედ ითვლება. როგორც ჩანს, ლეგენდარული ამერიკელის განცხადებამ ბევრი დაინტერესა წყვილებში თამაშით და ამიტომაც სან-ხოსეში ასპარეზობაზე თანხმობა უკვე განაცხადეს ამერიკელებმა ენდი როდიკმა და ჯეიმს ბლეიკმა, ავსტრალიელებმა ლეიტონ ჰიუიტმა და მარკ ფილიპუსისმა.

ასე რომ, ბევრი ელოდება მაკინროის ხილვას თანამედროვეობის უძლიერესი ჩოგბურთელების პირისპირ.

კახა ლომჯაფილი



ჯონ მაკინროი

ჯონ მაკინროი, რომელმაც კარიერის განმავლობაში 77 ტურნირი ერთეულთა და 77 წყვილთა თანრიგებში მოიგო, აქტიურ სპორტს 1992 წელს დაემშვიდობა. მაშინ ამერიკის დია ჩემპიონატზე წყვილებში მიხაილ შტიხთან ერთად ასპარეზობდა. ამის შემდეგ ამერიკელი ძირითადად ვეტერან ჩოგბურთელთა ტურნირებში მონაწილეობდა, რომელიც ჩემპიონთა მასტერსის სახელითაა ცნობილი.

და აი, ცნობილი გახდა, რომ მაკინროი ATP-ის რანგის ტურნირში აპირებს მონაწილეობას, თანაც მას საკმაოდ სერიოზული მიზნები აქვს: „მე და იონასი სან-ხოსეში მხოლოდ მოსაგებად ჩავდივართ და ეს ჩვენთვის ხუმრობა სულაც არაა. გარდა ამისა, მე მგონი ჩოგბურთის მოყვარულებში ეს ინტერესს გააღვივებს კიდევ“.

ჯონ მაკინროი ყოველთვის მიეკუთვნებოდა იმ ჩოგბურთელებს, რომლებიც ერთნაირი სიამოვნებით თამაშობდნენ როგორც ერთეულთა, ისე წყვილთა თანრიგში. ამიტომ, მას ბიორკმანთან შეთანხმება წესით და რიგით არ უნდა გაუჭირდეს,



# ჯალათმა ვერ იჯალათა

„ჯალათმა“ ბერნანდ ჰოპკინსმა ვერ დაიბრუნა მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის ტიტული, რომელსაც საშუალო წონის მოკრივეთა შორის ფლობდა. ჰოპკინსი დაამარცხდა ჯერმენ ტეილორთან, რომელთან შეხვედრამაც ისევე როგორც მათ წინა პაექრობაში, თანაბარ ბრძოლაში ჩაიარა.

ჰოპკინსის მიერ ტიტულის ფანტასტიკური დაცვის სერია, რომელიც ზედღვივდა 20 გამარჯვებით დამთავრდა, 16 ივლისს შეწყდა. მაშინ 40 წლის ჰოპკინსი 12 რაუნდიან ბრძოლაში 27 წლის მეტოქე ჯერმენ ტეილორთან დაამარცხდა, რამაც ჯალათი ძალზე აღაშფოთა, რაკილა, მათმა შეხვედრამ თანაბარ ბრძოლაში ჩაიარა.

და აი, თითქმის ნახევარი წლის მერე ეს მოკრივეები კვლავ შეხვდნენ რინგზე ერთმანეთს, რათა წერტილი დაესვათ მათი დაპირისპირებისთვის, მაგრამ ეს წერტილი კვლავ პაერში გამოვიდა და არაჩინა. მართალია, დაამარცხებულად ჰოპკინსი მიიჩნეეს, მაგრამ ბრძოლა წინამორბედივით თანაბარი აღმოჩნდა და თითქმის, ნახევარი წლის წინანდელის ზუსტი ასლი გამოდგა.

შაბათ ღამითა და კვირას გამთენიისას გამართულ ამ ორთაბრძოლაში, რომელიც ღვთისმშობლის მოედანზე, პირველ რაუნდებში ტეილორი უკეთ გამოიყურებოდა, ჰოპკინსი კი დასკვნით ნაწილში უფრო ყოჩაღობდა. ყველ მსაჯმა ტეილორის უპირატესობა ერთნაირი ანგარიშით — 115:113 დააფიქსირა. თანაც, ერთმა არბიტრმა მიიჩნია, რომ ჯერმენმა პირველი ექვსი რაუნდი მოიგო, ხოლო ორმა არბიტრმა მოქმედი ჩემპიონის უპირატესობა ექვსიდან ხუთში დააფიქსირა.

მეშვიდე რაუნდიდან მოყოლებული უპირატესობას ჰოპკინსი ფლობდა. თუმცა, „ჯალათმა“ ქულებით ჩამორჩენა ბოლომდე ვერ აღმოფხვრა.

„მე ვერ კიდევ ბევრი სწავლა მომიწევს, მაგრამ ეგ კია, ახლა მე გავიმარჯვე. ჰოპკინსი ძალიან ჭკ-

ვიანი მებრძოლია. იმისთვის, რომ მისი წინააღმდეგობა დამეძლია, მთელი ჩემი კოზირების გამომზურება მომიხდა“, — თქვა ტეილორმა.

„მე მოკრივეს არ გაუბრძობდი და მუდმივად ვაწვევოდი. ყოველთვის, როცა მეტოქე დარტყმების გაცვლების შედეგად იღლებოდა იგი სულ ჩემ შებოჭვას ცდილობდა, მე კი აბსოლუტურად საღად გამოვიყურებოდი. ყოველი რაუნდის მერე სულ უფრო და უფრო უკეთ ვვრძობოდი თავს და დარწმუნებული ვარ, რომ გამარჯვებისთვის საკმარისი გავიღე“, — თქვა ჰოპკინსმა, რომელიც ბრძოლის დამთავრებისთანავე ისე იყო დარწმუნებული თავის წარმატებაში, რომ გონგისთანავე გამარჯვებულივით ხელები აღმართა.

„ჯერემი ძალიან კარგად გამოიყურებოდა ბრძოლის დასაწყისში მანამ, სანამ, მთელ თავის ენერჯიას დახარჯავდა“, — თქვა ტეილორის პრომოუტერმა ლუ დი ბელმა.

უნდა ითქვას, რომ ის კრივის მოყვარულნი, რომლებმაც თვალის აღებნეს ამ ბრძოლას, ცოტა არ იყოს გაწბილებულნი დარჩნენ, რადგან კლინიკა და პოზიციური ბრძოლა უფრო მეტი იყო, ვიდრე ნამდვილი კრივი. მოწინააღმდეგეთ არ ჰქონდათ არათუ ნოკაუტში, არამედ ნოკდაუნში ჩაგარდნის შანსი კი, ხოლო ბრძოლის შემდეგ არცერთ მათგანს სახეზე ბრძოლის არანაირი კვალი არ ეტყობოდა.

